სიცხოვრე

17
1981

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ამ გაგანია სიცხეში დასასვენებლად არ მიგრძანდებით?!..
— ამაზე უკეთეს ადგილას სად დავისვენებ. შე კაცო!..

რასაც აიღებ, შენია?!

— **თქვენი** დახმარება მჭირდება, — მიმართა თერჯოლის რაიონის ხილის გადასამუშავებელი და წვენების დასამზადებელი საამქროს უფროსმა, ამჟამად მსჯავრდებულმა **ანზორ ცხადაბერიძემ** საგანგებოდ მოწვეულ „სტუმრებს“, ასევე ამჟამად მსჯავრდებულებს, სოფელ ძევრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **დავით მარუაშვილს,** მთავარ ბუღალტრებს **შალვა ცხადაძესა** და **იუზა აბულაძეს,** ხილის დამამზადებელ ბრიგადირს **შოთა ისაკაძეს** და სხვებს. — უსაქონლო ოპერაციებსა და ფალსიფიცირებული წვენების დამზადებარეალიზაციაში გამოუცდელი არც ერთი არა ხართ! ისიც კარგად იცით, რომ უამისოდ შორს ვერ წავალთ!.. ჩვენ რომ ახლა ჟოლოს, მაყვლისა და მოცვის წვენების დამზადება დავიწყოთ, ეს ვერაფერ სარგებლობას მოგვიტანს!

— მართალია! ჯიბეცარიელიც ვივლით და შეიძლება გეგმაც ვერ შევასრულოთ... — მოისმა აქეთ-იქიდან.

— ჰოდა, აუტკივარი თავი რაზე ავიტკივოთ! მართალია, მაყვალს გემო ანწლზე უკეთესი აქვს, მაგრამ ფერით რევიზორიც ვერ გამოარჩევს!.. თანაც, ანწლის მეტი რაა ამ დალოცვილ მიწაზე! მთავარია მოხერხება, ხოლო ფული თავისით მოვა! აბა, რას იტყვით, წინააღმდეგი ხომ არ არის ვინმე?

— საწინააღმდეგო რა გვაქვს, დღესვე შევუდგებით საქმეს.

მართლაც, გასაოცარი მონდომებითა და გულმოდგინებით დაიწყეს ყალბი ანგარიშ-ფაქტურების, დღიურების, ხელფასის უწყისებისა და მინდობილობების წერა. და ჰოი, საოცრებავ!—სამი წლის „დაუღალავი მუშაობის“ შედეგად მართლაც თავისით მოვიდა 376.794 მანეთი, მაგრამ ცხადაბერიძეს მაინც რაღაცა აკლდა გულს და ისევ გამართა ბჭობა თანამოსაქმეებთან.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მშვიდად მაინც ვერ დაგვიძინია!

— რატომ, შე კაცო, გვაკლია რამე თუ?

— რომ არ გვაკლია, საქმეც ის არის! ხომ იცით, ამისთანა საქმეს ხიფათიც რომ ახლავს თან.

— ვითომ, ვინ რას გაგვიბედავს?

— რა ვიცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩემი აზრით, კარგი მფარველის მოძებნა არ გვაწყენდა!

ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ცხადაბერიძის წინადადებით, ბოლოს, რაიონის პროკურორზე, **გიორგი ვაჭარაძეზე** შეაჩერეს არჩევანი.

— ახლა, მთავარია, შუამავალი გამოვძებნოთ! მერე კი...

— გენიოსი ხარ, ნამდვილი გენიოსი! რაიონის პროკურორს თუ მოვისყიდით, უბატონოდ ხმას ვინ გაგვცემს! ქვეყანა ჩვენი იქნება!

შუამავალიც შეარჩიეს, პროკურორის მეგობარი **ვაჟა კვინიკაძე** და სასწრაფოდ აფრინეს მასთან, მაგრამ პროკურორმა უარით გამოისტუმრა, თან დაარიგა, ფრთხილად იყავითო.

— არადა არა! უკან დახევა აღარ შეიძლება! ერთხელ გვეტყვის უარს, ორჯერ გვეტყვის და მესამედ აიღებს! ფული პროკურორს კი არა, ეშმაკსაც შეაცდენს! — იმედს არ კარგავდნენ საქმოსნები.

პროკურორი მართლაც ბევრს უარობდა, მაგრამ ბოლოს მაინც „შეაცდინეს“ და თითქმის „ძალით“ დაუტოვეს 12.000 მანეთი.

— როგორც იქნა გაიგო, რომ „რასაც აიღებს, მისია!“,—აღტაცებას ვერ ფარავდა ცხადაბერიძე და წვენების საამქრო უკვე თავის საკუთრებად წარმოიდგინა.

— ახლა ფიქრი ნუღარაფრისა გექნებათ, ანწლი კი არა, მელანი რომ ჩავასხათ ქილებში, პასუხს ვეღარავინ მოგვთხოვს! ისე, მართლა კაცური კაცი კი ყოფილა, მაგრამ ჩვენც ხალხი ვართ, პატივისცემას არ მოვაკლებთ!..

ერთხანს მართლაც ასე იყო, არც პროკურორი აკლებდა მფარველობას და არც საქმოსნები რჩებოდნენ ვალში, ასე, 32.000 მანეთამდე მიუტანეს საჩუქრად, მაგრამ როცა მართლმსაჯულების სასწორზე მისხალ-მისხალ აიწონა თითოეულის დანაშაული, პროკურორმა ვეღარც მათ უშველა და ვეღარც საკუთარ თავს.

დიახ, ძალზე გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ადამიანი, რომელიც სიმართლისა და კანონიერების დამცველი ეგონა ყველას, თანაც არცთუ ისე ახალგაზრდა კაცი, რომ მისი სამარცხვინო საქციელი გამოუცდელობით ავხსნათ, საქმოსნებთან ერთად წარსდგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის წინაშე, რომელმაც 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაციით.

ახლა კი დარწმუნდა, რომ რაც აიღო, ნამდვილად არ იყო მისი, მაგრამ რაღა დროს... ადრე უნდა სცოდნოდა — **რაც არ გერგება, არც შეგერგება!**

ლილი მაისურაძე

ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებში ჯერ კიდევ ბოგინობენ ქორვაჭრები, რომლებიც სპეკულაციურ ფასებში ჰყიდიან პატიოსან კოლმეურნეთა ნაამაგარს.



უსიტყვოდ

ბაზარი, ბაზარი!..

დიდი მხარჯველი კაცი არა ვარ, მაგრამ მაინც წამცდება ხოლმე ხელი ჯიბისკენ... სულიერ ცხოვრებაზე თავს ნამდვილად ვერ ვიკავებ — კინო, თეატრი, ოპერა... ჰაერივით მჭირდება. არც ბავშვებს ვაკლებ სიამოვნებას — ცირკი, ზოოპარკი, კარუსელი... ჰოდა, ყველაფერი ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. ზოოპარკში რომ ბავშვს შეიყვან, მარტო მაიმუნებსა და ბეჰემოთს ხომ არ აჩვენებ. აქეთ ნაყინიო, იქით — ფერადი ბუშტებიო... ხან სასწორზე დაახტებიან ცქვიტები, მოდი და ნუ აწონი... დიახ, დიდი მხარჯველი კაცი არა ვარ. მაგრამ გამოგიტყდებით, მაინც ძლივს მყოფნის ფული ხელფასიდან ხელფასამდე. მეტი ხელის მოჭერაა საჭირო. უნდა ერიდო ყოველდღე ბაზარში სიარულს. ათასი სასურსათო თუ ხილბოსტნეულის მაღაზიაა ქალაქში. ბოლოს და ბოლოს, რა განსხვავებაა ბაზარსა და მაღაზიაში ნაყიდ საქონელს შორის? — ერთადერთი ხარისხში! მერედა ამიტომ ღირს ბაზარში — იმ წეწვა-გლეჯაში სიარული? მიუხედავად ამისა, ისე ვარ შეჩვეული ბაზარში სიარულს, ადვილად ვერ ვთმობ მაგ დასაწვავს... მაგრამ ნათქვამია, ნასესხები ფულით ბაზარში ნაყიდ ქორფა ოხრახუშს მაღაზიაში საკუთარი კაპიკებით ნაყიდი დამჭკნარი ნიახური გერჩიოსო... ჩემი აზრი ცოლს გავუზიარე, როცა საოჯახო ჩანთა და ქაღალდზე ჩამოწერილი საყიდლების სია გადმომცა. მოდი, დღეს ბაზარში არ წავალ, ისედაც დალოცვილ მაღაზიებში ყველაფერია. ხელფასამდე ცოტა გამოვიზოგოთ-მეთქი ფული... უსიტყვოდ დამეთანხმა. გამოვეწყვე და გავეშურე უახლოესი ხილბოსტნეულის მაღაზიისაკენ, თან გონებაში ვანგარიშობდი და მიხაროდა, რომ რაღაც კაპიკები მიჯდებოდა უგემრიელესი ისპანახის მხალის სადილი. აი, ჩვენი ხილბოსტნეულის მაღაზიაც. შორიდან რომ ასე ლამაზია, შიგ რომ შეხვალ, რა იქნება-მეთქი, გავივლე გულში. მართლაც, დახვავებული იყო მაღაზიაში ყველაფერი.

— თუ შეიძლება ორი კილო ისპანახი ამიწონეთ, — მივმართე გამყიდველს.

გამყიდველმა თავაზიანად გამიღიმა და მითხრა:

— ისპანახი არა გვაქვს, ორ-სამ დღეში გამოიარეთ და იქნებაო.

— მე დღეს მინდოდა-მეთქი, — ვთქვი და შევწუხდი, უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩავაყენე დახლის მუშაკი. — ხომ ვერ მიმასწავლით, რომელ მაღაზიაში იქნება ისპანახი? რატომაც ვერა. აი, ქუჩის ბოლოს, კუთხეში რომ ხილბოსტნეულის მაღაზიაა, გუშინ იქ მიიღესო. დიდი მადლობა მოვახსენე თავაზიან გამყიდველს და გავეშურე იმ მაღაზიისაკენ. მართლაც, მაღაზიაში დახლზე, დახლქვეშ, თაროებზე, ყველგან ისპანახი ეყარა. ვთხოვე ორი კილო ისპანახი აეწონა. ახლავე, ბატონო, იყო პასუხი და რატომ სამი კილო და ორასი გრამი არ იქნებოდა, რაც ამიწონა. ძლივს ჩავტენე ჩანთაში ამდენი ისპანახი. მეტი ხომ არ ამიწონეთ-მეთქი, შევეპარე მორიდებით გამყიდველს...

— აბა, ყველას რომ ზუსტად ავუწონო, რა გაასაღებს ამასო, — და გაიღიმა...

— ასი გრამი ოხრახუში და... — მინდოდა მეთქვა, ასი გრამი ქინძიც დაემატებინათ, რომ შემაწყვეტინა სიტყვა: — ოხრახუში არადა, ნიახური გვაქვსო. ხომ ვერ მეტყვით, ოხრახუში რომელ მაღაზიაში იქნება-მეთქი. ოცდამეორეშიო, — მომიჭრა უცებ. თანაც ამიხსნა, სად მდებარეობდა ოცდამეორე მაღაზია. ახლოს ყოფილა, რაღაც ოთხი თუ ხუთი გაჩერება უნდა გამევლო ავტობუსით და შემდეგ ორასი, სამასი მეტრი — ფეხით... მივედი ოცდამეორე მაღაზიაში. მართლაც პირდაპირ ბაზრიდან მოტანილი გეგონებოდათ, ისე ხასხასებდა მწვანილი. სულმა წამძლია და ასი გრამის ნაცვლად ას ორმოცდაათი ავაწონინე, ისეთი ქორფაა, ორმოცდაათ გრამს ისე შევახრამუნებდით.

— ასი გრამი ქინძიც! — შევძახე ომახიანად. ქინძი გაგვითავდა, ველოდებით, ან საღამოთი მივიღებთ, ან ხვალ დილითო, მომიგო გამყიდველმა. თუ არ გეზარებათ, ორმოცდამეთვრამეტი მაღაზიაში ექნებათო.

რატომ უნდა მეზარებოდეს-მეთქი, მივუგე გაოცებით და გაჩერებაზე გავედი. როგორც კეთილშობილმა ადამიანმა ამიხსნა, ჯერ ავტობუსით და მერე ცოტა ტროლეიბუსითაც მომიწევდა გავლა. ავტობუსმა კი დააგვიანა, მაგრამ ხომ მოვიდოდა მაინც... მივედი სასურველ მაღაზიამდე, მაგრამ შესვენება დაწყებულიყო. შევიხედე შიგნით, ქინძი კი იყო თავზე საყრელად... დამეზარა ლოდინი. დიდი ამბავი, ქინძს მაინც ვიყიდდი ბაზარში. გამოვბრუნდი იქიდან ჯერ ფეხით, მერე ავტობუსით და ბოლოს მეტროთი — ბაზართან ამოვყავი თავი...

რა გახდა ეს ბაზარი, ყველაფერია მაღაზიებში... თუ შესვენების დროს მიხვედი და მოცდა დაგეზარა — ეს არ ვიცი!..

აგვიჩემებია — ბაზარი! ბაზარი!

ნომადი გართაია

საზაფხულო ბალადა

„რა ღირს თქვენი ოხრახუში,
ასი გრამი, ძია?“
და პასუხი მომხვდა ყურში,
როგორც ცხელი ტყვია:
„სამოც კაპიკს არ დავაკლებ,
არც ერთ კაპიკს, შვილო!“
და თვალები მის ოხრახუშს
ავარიდო, ვცდილობ.
„პრასი რა ღირს?“
„ათ შაურად
მოგცემ, კარგი, ას გრამს!“
ავპილპილდი!.. პრასის ფასმა
გულში დამჭრა ასგან!..
„ხახვი რა ღირს?“
„ორ მანეთად
ვყიდი, შვილო, კილოს!“
„არ გრცხვენია?!“
„ვითომ, რატომ?!
რა მაქვს სასირცხვილო?!“ —
მითხრა მშვიდად, მერე თავის
მართლებასაც მოჰყვა:
„მოპარული კი არა მაქვს,
ჩემი ოფლით მომყავს!“
ამეშალა ნერვები და
ამიჩქარდა გული!..
შევუტიე: „მოპარული
არც მე არ მაქვს ფული!“
მეტი ცეცხლი მოუკიდა
პილპილს, წიწმატს, ბოლოკს!..
გაფქცვნილ-გაწიწმატებული
შინ მივედი ბოლოს!..

ავთანდილ მეგრელიშვილი

ნახ. გ. ფირცხალავა

— ამ სიბერეში, როგორც ჩანს, ჯანზე ვარ! აი კილოგრამი კარტოფილი ამინონის და ისე მიმაგავს, თითქოს ხუთი იყოს!

გარითმული სენტენციები

- **თავს** იქებდა ათასებთან, მაგრამ არავინ აფასებდა.
- **ვერ** მოახდინეთ ეფექტი? ალბათ, გაქვთ რაღაც დეფექტი!
- **მეტისმეტი** ფერებითო, შვილს გადავიმტერებთო.
- **ვისაც** უყვარს თავდაჭერა, მას ექნება მხარდაჭერა.
- **საკუთარს** ვერ ერეოდა, სხვის საქმეში ერეოდა.
- **ცხოვრება** კენტად ძნელია მეტად.
- **ვინც** გაიცარცა, მან გიმარჯვა.

ქარაგმები

- **უფროსებს** თავს უკრავს, ხელქვეითებს — ხელფეხს.
- **დანაშაულს** შეცდომად ასაღებს, თავს — უდანაშაულოდ.
- **ყველაფერს** სხვას აბრალებს, რადგან საკუთარი თავი ებრალება.
- **არავის** არაფერს უჯერებს და თავს შეუცდომელ კაცად თვლის.
- **ყველაფერს** თვალს არიდებს და მორიდებულ კაცად თვლიან.
- **ბაუას** არავის ეკითხება, რადგანაც მის საჭიროებას არ გრძნობს.

ალმანზორ თავაძე

ვინ ერთვლიდა, ვინ კრა, ძვეელანა ჯანგანერსა!..

ნიანგი ქორელი

ამბავი იმისა, თუ როგორ გაჩნდა „ნიანგი“ ქართლის რაიონში. იმ ხანად ისე გადაუდებელად წვიმდა ქართლის რაიონში, მდინარეებმა და არხის წყლებმა ისე დატბორა იქაურობა, რომ ამბობდნენ: თევზი კი არა, აქ ნიანგიც შეიძლება გაჩნდესო.

და მეც გავჩნდი.

გავჩნდი და, როგორც მოსალოდნელი იყო, მივიხედ-მოვიხედე აქეთ-იქით. ზოგი გამეხარდა, ზოგი გამიკვირდა, ზოგიც მეწყინა, ისეა თუ ისე, თანმიმდევრობით მოგიყვებით ყოველივეს.

უპირველეს ყოვლისა, ალტაციებში მომიყვანა ქართლის ბარაქიანმა ველებმა, მოვლილმა და ნასათუთარმა ვაშლის, მსხლის ბაღებმა და პლანტაციებმა. მართლაც, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ შეხედება კაცი ქართლის სახელგანთქმულ ხილს.

აი, თუნდაც პატარა, მაგრამ მადლიერებით აღსავსე მარაი, რომელიც კარლიიდან მიიღეს ქართლის მშრომელებმა:

„ულრმეს მადლობას გიხდით მოელი რაიონის მშრომელებს შესანიშნავი ქართული ხილის გამოგზავნისათვის. გისურვებთ ნარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში“.

ბარათს ხელს ანერდნენ პეტროზაოვდსკელი მშრომელები.

ამ საყურადღებო ბარათმა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც არანაკლებ შრომას ენეკვნან ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, არ შეიძლება სიხარული და ალფრთოვანება არ გამოიწვიოს. მაგრამ ალფრთოვანებაც არის და ალფრთოვანებაც. ზოგი ისე ალფრთოვანდა, აკაოდ რუსეთში ჩვენი ხილი მოსწონებიათო, რომ ყოფიბში რაგიერთა ვაშლი, მიატოვა სახლ-კარი, ცოლ-შვილი, მშობლიური სოფელი, კოლექტივი და ნავიდა და ნავიდა...

უნდა ითქვას, რომ ქარელის რაიონლმა გაზეთმა **„ოქტომბრის გზით“**, რომელიც, საერთოდ, დროოდან ეხმაურება რაიონის ყოველ აქტუალურ პრობლემას, სპეციალური რუბრიკაც კი შემოიღო შორეული მომხმარებლის მეტისმეტ **„ეუფლმამატივარონა“** და მშობლიური სოფლის ინტერესების აბუჩად აგდებისა გასაკიცხად და ამ რუბრიკას მოსწერებულად „სოფლის სამდურავი“ უნოდა...

იმათზე, ვინც შრომით ასახელა მშობლიური რაიონი და იმათზეც, ვის გამოც შემოელო გაზეთმა ზემოხსხენები რუბრიკა, რა თქმა უნდა, ნიანგი რაიონის თავკაცს უნდა გასაუბრებოდა და ან, ისიც მის კაბინეტშია.

სიმეიდო საყრდენი. საერთოდ, ნარმატებებზე ლაპარაკი ადვილიც არის და სასიამოვნოც, — ასე დაინყო საუბარი პარტკომის რაკომის პირველმა მდივანმა **ომარ კილასონიამ,** — მაგრამ მოდით, ასე დავსვათ კითხვა: შეგვეძლო თუ არა უკეთ გვემუშავა? რა თქმა უნდა, შეგვეძლო. ჩვენს ქვეყანაში არის შესანიშნავი ლოზუნგი — დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ და ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს. ფილოსოფოსები ამაზე იტყვიან, ეს დიალექტიკის კანონიაო. ჩვენ კი, უბრალო მოკვდავები, ამას ალმასცეს ფორმულას ვეძახით და ცხოვრების ნესად გავქეს მიჩნეული, — პატივცემულ ომარს ეღიმება და აგრძელებს საუბარს. — არ

ციალა მაჭარაკაიშვილი

დაეიმორჩილეს ამ კანონს და დიალექტიკა ხომ ბარ გაპატიებს, საზოგადოება უარესს დღეს დაგაყრის; ჩამორჩენი ცხოვრებაა! ჩამორჩენილებს კი როგორც ექცევიან. კარგად მოგეხსენებათ.

მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ დიდ ნარმატებებში თავიანი წვლილი შეტანილ ქარქელის რაიონის მშრომელებმა. ხუთწლედში ვანაკრძოეთ 75 მილიონი მანეთის საპოფლო-სამეურნეო პროდუქციაა. უს კი 32 მილიონი მანეთით აღემატება მე-9 ხუთწლეულის მაჩვენებელს.

— ამ ნინსელის ფორმულას ხომ რეალური საძირკველი უნდა ქონდეს? რა მიგაჩნიაო ასეთი საყრდენად?

— გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედება. საოცარი ის არის, რომ რაც უფრო მეტ ასეთ რეზერვებს ამოქმედებდა, მით უფრო მეტი და მეტი შესაძლებლობები გამოჩნდება ხოლმე. ისე, როგორც ქართულ ზღაპრებშია — დღეს ერთ თავს რომ მოაკრიან, ორი გამოემება, ორს მოაკრიან და — ოთხი; ხოლო რაც შეეხება შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ამის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეჩვიდმეტე პლენუმმა, რომელიც კადრების საკითხს ეხებოდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნარმატებების მამოძრავებელი ძალა სწორედ გონივრულად შერჩეული კადრებია. აგიღოთ ასეთი მაგალითი — მეურნეობა, რომელიც ჩამორჩენილი იყო და ახლა მოწინავეა, ან, პირიქით, მოწინავე იყო და ჩამორჩა. როდესაც ნარმატებისა თუ ჩამორჩენის მიზეზებს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ამ საქმეში მეურნეობის დირექტორის უნარზე ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ანალიზით არ გამპაყოფილებით და ვედილობთ ყველას თავიისი ადგილი მოეუნახოთ.

— საინტერესოა კიდევ რა გაკეთდა შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის?

— მოდით და საგანს პირდაპირ თავისი სახელი დავარქვათ. თქვენ გაინტერესებთ, რა გაკეთდა უსაქმურებთან ბრძოლის საკითხში, არა? კარგი. დიდი „ბარ-ზეიმით“ მოვუწყვეთ შეხედრა უსაქმურებს, — ღიმილით ამბობს ომარ კილასონია, — ნელს ჩავატარეთ ბიუროს გამსვლელი სხდომები მეურნეობებში, ყველა უსაქმური აიურარტულად გამოცხადდა და დიდი „აქტივობაც“ გამოიჩინეს. საუბარი მიდიოდა გულახდილად, უშუალოდ, ასე ეთქვათ „მეგობრულ აბმოსფერობაში“, თითოეულის საკითხი პერსონალურად განეიხილეთ, ცოტა დაეტუქსეთ და ცოტაც ნამუსზე შევაყენეთ. პირობა მოგვაცეს, ვიმუშავებთო...

ნიანგი დამშვიდდა ომარ კილასონიას. მანაც დაიჯერა, რომ ქარქელის რაიონი მეთერთმეტე ხუთწლედში უკეთეს შედეგებს მიაღწევს, ვიდრე მეათეში, ხოლო მეთორმეტეში — უკეთესს, ვიდრე მეთერთმეტეში, რადგან ასეთია ალმასცეს ფორმულა, რომელსაც სიმედო საძირკველი აქვს. ამის სანინდარია ისეთი გამრჯე ადამიანების შრომა, როგორიც არის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ი. ნასყიდაშვილი,** აგარის შაქრის კომბინატის ხარატი, საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის დელეგატი **ბ. დიაკოვი.** ქარელის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ლენინისა და ოქტომბრის რეგალუციის ორდენების კავალერი **გ. გიკაშვილი,** ბბისის კოლმეურნეობის ნევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ც. მეარაყიშვილი,** ბუბნისის საბჭოთა მეურნეობის მეხილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **კ. ცაცხლაძე** და სხვები.

ასპარეზენაცვალი სიმეშვიდე. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც მოლეიი დაკარგავს თავის ფუნქციებს. ვინ იცის, იქნებ ეს მოხდება მაშინ, როდესაც ქარელის რაიმილეიციის უფროსი **გენო მარიაშვილი** საპენსიო ასაკს ჯერ კიდევ არ იქნება მიღნეული, მის ხომ სამოც წლამდე მეთოხედ საუკუნეზე მეტი აკლია, ჯერჯერობით კი დანაშაულებები ხდება და მილიციის მუშაობის ხარისხიც პროცენტობით განისაზღვრება. 1981 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, ქარელის რაიმილეიციის მუშაობის შედეგი ასპროცენტიანია. რაიონში მომხდარი ყველა დანაშაული გახსნილია.

ილო ნასუიდაშვილი



— რა წყალში ჩავვარდე, სამოცი ათასი ტონა ხილი მოვიხილე, ჩვენი სანყობი კი თხუთმეტ ათას ტონას იტევს! — რა მოსდა მერე, მიდი ეგერ ბენზოკალონაკაში და გასწავლიან როგორ ჩაკბენ!..

რა მოკლე ინფორმაციაა! გახსნილი, მაგრამ რამდენი უძილო ღამე გატარებული, რამდენი ნერვიულობა და ენერგია დახარჯული, რამდენი რისკია გაწეული და რამდენი გამჭრახობაა გამოჩენილი, ამაზე სტატისტიკა დუმს, სამაგიეროდ, საზოგადოების მადლიერებაა ასევე ალურიცხვული და პრიცენტებით დაუდგენელი მათი სიმშვიდის გუშაგების მიმართ.

აბა ამბავი ავადმყოფი მაჯადარი სულეგანია, ბრძანდა უთქვამს: „გაგონილს ნანახი ჯობიაო“. ნიანგიც ამ სიბრძნეს მიაყვა. გაგონილი გვქონდა — ქარელის რაიონის ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებაში მოუსახურება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზეო, არის უყურადღებობის შედეგად სიკვდილიანობის შემთხვევები და, ამავე დროს, სამედიცინო კონტინგენტის შენარჩუნების მიზნით (ჯვარი ნერიათ ავადმყოფებს) ბკედრი სუფლის გაფორმება და ავადმყოფების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდაც. დაადო თავი და სოფელ რუისის საუბნო საავადმყოფო მოინახულა.

საავადმყოფოს პერსონალი სიხარულით ცას ეწია, არიქა გვიშველე, ნიანგო, იქნება რამე ეშველის ჩვენს საავადმყოფოს — ნყალი არა გვაქვს და შორიდან ვეზიდებიათო, ზაფხულში კიდევ რა უჭირს, მაგრამ ზამთარში ჯიჯგოზეთიაო, ესა და ეს გვაკლიაო, ქირურგი არა გვყავსო და სხვადასხვა.

მართლაც, რუისელი მკურნალები არ არიან განებივრებული კარგი პირობებით. ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად ავადმყოფების მკურნალობის ხარისხზე მოქმედებს, თუმცა ისიც ითქვა, რომ რაიონის ხელმძღვანელობა ახლო მომავალში აპირებს ამ მხრივ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას.

საავადმყოფოს მთავარი ექიმი ნიკოლოზ ჩიმაკაძე გამოცდილი მკურნალია. ამ დარგის უფლებას გვაძლევს მისი ასაკი და თუნდაც სიმპათიური გარეგნობა, მაგრამ ეტყობა ორგანიზაციულ საკითხებში კარგად ვერ არის ჩაზედული, რადგან ის, რაც ჩვენ იქ ვნახეთ და გავიკარგეთ, მანაც ჩვენთან ერთად ნახა და გაიკვირვა.

საავადმყოფო ოცდათხუთმეტადგილანია. ხოლო იმ დღეს, სპუთების მიხედვით, აქ ოცი ავადმყოფი იყო გაფორმებული.

აბა, ოცამდე დათვალა ნიანგს გაუჭირდებოდა? და მანაც არ დააყოვნა, დათვალა და თერმომეტ ავადმყოფზე მეტი ვერა და ვერ აღმოაჩინა, ახლა გამოწერილი პროდუქტების ფაქტურაში ჩაიხედა და აქაც ოცი ავადმყოფის ულუფა იყო გამოწერილი. საწყობის გამგეკენ აღვქმა მამესწარაშვილმა ხელები გაშალა — აბა, მე რა ვიცი რამდენი ავადმყოფია, მე პური და ხორცი მაბარია, ოცი მითხრეს და ოცისა გამოვწერეო.

ამან კიდევ უფრო დარწმუნა ნიანგი, გაგონილს რომ ნანახი ჯობნებია.

პაპელ დიაკოვი

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

გამოსავალი იპოვეს...

გზას ვამბობ, თორემ რა გზაა... გზას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, იქიდანაც ჩანს, რომ სხვადასხვა მოვლენების ასახსნელად ადამიანმა, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, მეტყველებაშიც გზა მოიშველია — „ცხოვრების გზა“, „გზა — ხსნისა“, „გზააბნეული“, „სწორ გზაზე მდგარი“, „გზასაცდენილი“ და სხვა, მაგრამ, რაც მთავარია, გზა სხვადასხვა წერტილებში მყოფ ადამიანებს ერთიმეორესთან აკავშირებს. გზის საშუალებით ქვეყნები ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებს ამყარებენ. ერთი სიტყვით, უგზოდ წარმოუდგენელია ადამიანის ცხოვრება, მაგრამ გზასაც გააჩნია.

ქარელისა და ზნაურის რაიონებს შორის ერთ დროს იყო მოასფალტებული სამანქანო გზა. მაგრამ ეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ახლა კი მხოლოდ გამოცდილ ექსპერტებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ აქ ოდესღაც ასფალტი არსებობდა.

რა ბედნიერები იყვნენ მაშინ ბრეთელები, დირბელები, ტახტისძირელები და დვანელები, წყლით სავსე ჭიქა რომ დაედგათ მანქანის სახურავზე, ზნაურში ისე ჩავიდოდნენ, წვეთი არ დაიღვრებოდა. ახლა?

ზნაურიდან აგარაში ჩამოტანილი ღვინის მასალა ჯანჯღარით ამღვრეული და ხარისხდაკარგულია, შაქრის ჭარხალი — დაჟეჟილი, ხოლო ხილი დირბიდან აგარამდე უფრო ილახება, ვიდრე აგარიდან მოსკოვამდე.

ყველაფერს თავისი პატრონი ჰყავს, ქარელსა და ზნაურს შორის არსებულ გზასაც ეყოლება თავისი პატრონი, ჰოდა, მიხედოს საქმეს, თორემ უპატრონოს შეარქმევენ. მერე კი თუნდაც ბეტონი დააგოს, შერქმეული სახელი აღარ მოცილდება.

პრაქტიკული ნაბიჯი პედაგოგიკაში. პედაგოგიკაში კანონიერად არის დამკვიდრებული აზრი, რომ თვალსაჩინოება საგნის შეთვისების მეტად ეფექტური საშუალებაა. ამ მხრივ რაიონში საქმე მაღალ დონეზეა დაყენებული და ყოველივე ეს — მშენებლების წყალობით.

და აი, რატომ:

სოფელ დვანში 1977 წელს დაიწყო სკოლის მშენებლობა, რისთვისაც გამოიყო 243 ათასი მანეთი, დაიწყო მშენებლობა და ამოიყვანეს საძირკველიც და ზეძირკველიც. ხარისხი იმდენად დაბალი იყო, რომ ახლა საძირკველ-ზეძირკველი უკვე საკმაოდ დაზიანებულია და, ალბათ, ნორმალურ მდგომარეობაში რომ ჩადგეს, ისევ გარკვეული ხარჯები დასჭირდება, არადა, 243 ათასიდან 96 ათასი უკვე ათვისებულია, რაც მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხის 44 პროცენტს შეადგენს.

და, აი, სოფელ დვანის სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებისათვის შეადგინონ თვალსაჩინო ამოცანა — მიიყვანონ ბავშვები ოთხი წლის წინათ დაწყებულ სკოლის მშენებლობაზე, აჩვენონ დაზიანებული საძირკველი და ზეძირკველი, უთხრან, რამდენი თანხა იყო გამოყოფილი მშენებლობისათვის, რამდენ ხანს შენდებოდა და რამდენი დაიხარჯა, შემდეგ კი დაუსვან კითხვა: თუ ამ ტემპით გააგრძელებენ მუშაობას მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის ხაშურის № 1 სამშენებლო სამმართველოს მუშაკები, როდის დაამთავრებენ და რამდენი დაჯდება (რა თქმა უნდა, თანხა). ამასთან ყველაფერი ეს პედაგოგიკური ტაქტითა და სიფრთხილით უნდა გაკეთდეს და მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს ამოცანის შედგენა. რომ მოსწავლეებმა ეჭვი არ შეიტანონ ათვისებული თანხების არარეალობაში, რადგან ბავშვის გონება რაც არ უნდა იყოს მაინც **„სუფთა დაფაა“** და ასევე უნდა დარჩეს.

დაახლოებით ასეთი ამოცანის შედგენა შეუძლიათ კეხიჯვრის სკოლის პედაგოგებსაც.

ბოლოს და ბოლოს, რაღაცაში ხომ მაინც უნდა გამოიყენონ სკოლის მშენებლობა, სულ ფუჭად ხომ არ უნდა გადაყარონ წყალში ამოდენა თანხა?!

„ნიანგის“ სპეციკორესპონდენტები

გ. მეტრეველი, ზ. ქაჯაია.

მოხისური ღიმილი

სოფელი მოხისი ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესია ქარელის რაიონში. მოხისელები ცნობილი არიან არა მარტო თავდადებული შრომით, „მოხისური ღიმილი“ მთელს ქართლშია ცნობილი.

* * *

„მოხისელები უწისქვილოდ ყოფილან და გადაუწყვეტიათ გუგულის ქედზე წისქვილის აშენება. მშენებლებს სოფლიდან რიგრიგობით საჭმელს უზიდავდნენ. ერთხელ მუშებს საჭმელი პატარძალმა მიართვა, წყალი კი არ აუტანა. საჭმელად რომ დასხდნენ, წყალი მოიკითხეს. პატარძალს უთქვამს — წისქვილს აშენებთ და წყალს სოფლიდან ეზიდებითო?

მუშებს პატარძლის აზრი ჭკუაში დასჯდომიათ და წისქვილი სხვაგან აუშენებიათ“.

მოქმელი ა. ტურაშვილი
(მოხისი)

ქარელური ნაკვესები

კეხურა ვაშლის ხემ დაიჩივლა: რაც მოუსავლიანობა დამწამეს, მას შემდეგ ლოყები მიხურსო.

—:—

ფუტკარმა დაიწუწუნა: შაქარს მაძლევენ და თაფლსა მთხოვენო.

—:—

ფრონისხეოგბის გზამ წაიტრაბახა: დვინიდან წამოსულ ნაქეიფარ კაცს ქარელამდე პურს მოვამშევო.

—:—

კავშირგაბმულობის მუშაკებმა დაიკვეხეს: კავშირგაწყვეტილობითაც კავშირგაბმულობის გეგმებს ვასრულებთო.

შეკრიბა ნ. კობახიძემ

„სოფელი—ქალაქს!“
„ქალაქი—სოფელს!“

დილით, ბაზარში, ცინცხალ-ცინცხალი
ხილ-ბოსტნეულით იკავებს ალაგს,
რომ აგვიწონოს მისხალ-მისხალი! —
ეს არის მისთვის **„სოფელი—ქალაქს!“**

დილაადრიან ედება ქუჩებს,
და როცა გძინავს, მძინარეს გზარავს:
„აბა, მაწონი! ვაშლი! ტყემალი!“ —
ეს არის მისთვის **„სოფელი—ქალაქს!“**

სოფლიდან მოდის მანქანა ბევრი,
მთელი ქალაქის ნახევარს მოფენს!..
აქ ყიდულობენ ხორცს, მწვანილს,
კიტრსაც! —
ეს არის მათთვის **„ქალაქი—სოფელს!“**

ფოთა ხოდაშნელი

ნახ. ჭ. დეისაძისა

— რევიზიაზე მიდიხარ და ღვინო თან მიგაქვს?
— მე რომ ობიექტს ვამოწმებ, იცოცხლე, იქ პატივისცემა იციან, მაგრამ ღვინო არ უვარგათ!

„ნიანგს“ უპასუხებენ!

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო:

თქვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილი წერილი — **„ლიახვის ჭრელი ტალღები“** ასფალტბეტონის ქარხნებისათვის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის საჭიროების შესახებ სინამდვილეს შეეფერება.

სამინისტრომ საჭირო ღონისძიებანი განახორციელა № 13 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და № 4 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ასფალტბეტონის ქარხნებისათვის გამწმენდი ნაგებობების დასაპროექტებლად. პროექტის შედგენისთანავე დაიწყება მათი მშენებლობა და დამთავრდება 1981 წლის ბოლომდე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო:

ჟურნალ „ნიანგის“ მე-9 ნომერში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი — **„ბუმერანგი ყუთებში“**, სადაც აღნიშნული იყო ცხინვალის ქიმიური ქარხნის მიერ წუნდებული პროდუქციის გამოშვების ფაქტები და სხვა ნაკლოვანებები ქარხნის მუშაობაში — სინამდვილეა.

ცხინვალის ქიმიურ ქარხანაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ხელმძღვანელობის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მიმდინარე წელს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა: მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები; სტაბილური გახდა პროდუქციის თვითღირებულება, ახლო მომავალში კი გათვალისწინებულია მისი მნიშვნელოვნად შემცირება; 3 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება; სრულდება მოგების გეგმა; მიმდინარე წელს დაჯარიმების ან რეკლამაციის მიღების შემთხვევა არ ყოფილა.

ქარხანაში დაგროვილი საწარმოო ნარჩენები დამატებითი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის შედეგად ადგილზევე მუშავდება, რამაც ქარხანას საშუალება მისცა დამატებით გამოუშვას 100 ათას მანეთამდე ღირებულების ზეთოვანი საღებავი.

გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად სპეციალისტების მიერ დაპროექტდა კვამლდამჭერი ფილტრები, რომლებიც მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში დამონტაჟდება.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 17 (1603) სექტემბერი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
ნოდარ გართაია,
ბორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მალაზონია
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
გელან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალავა,
ჯანსულ ჩარკვიანი,
თამაზ ფიცფიცაძე,
ვაჟა ჭანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოითი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუბალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 23. 7. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 9. 81 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 2011. უე 14255
ტირაჟი 150.950.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა
636
12-X 81

გულთან მისული საქმე

შუა ზაფხულის ხვატია,
მზე ვარვარებს და ელავს!..
ბუნება თავის წიაღში
გვეპატიჟება ყველას!
ოი, რამდენი კუროორტი
და აგარაკი გველის! —
ფირუზის ზღვა და მდინარე,
ზურმუხტის მთა და ველი!..
ბუნების მოძღვწილ საუნჯეს,
ზღაპრულ წალკოტს რომ ვადრით,
უნდა ამკობდეს მასპინძლის
გულითადობის მადლიც!..
კაი, რომ ყადრი სტუმართა
ბევრმა არ იცის კარგად:
ზოგჯერ კუროორტზე ხალისს და
განწყობილებას ვკარგავთ!..
მომსახურების კულტურა
ერთობ დაბალი გახლავთ!..
უგემურ კერძებს მასპინძლის
უსულგულობაც ახლავს!..
ჰოდა, ამ ამბავს საშველი
აღარ დაადგა რაკი,
მკაცრი კონტროლის გაწევით
ძირში აღმოვფხვრათ ნაკლი!..
და, თუკი ასე გულდაგულ
მოვკიდეთ საქმეს ხელი,
გვწამს, აღარ განმეორდება
დაუდევრობა ძველი!..
დაბოლოს, მადლიერებით
მინდა დავსძინო აქვე —
ქების ღირსია ყოველთვის
გულთან მისული საქმე!

ზოთა ამირანაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— კი მაგრამ, სადაა ზღვა?

ნახ. გ. ლოგიერისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

81

მამაო დიანოზის კაკანათი

81-636



ისრაელი ვერ შეძლებდა ამას წინათ ბაღდადის მახლობლად ატომურ ცენტრზე თავდასხმას, მას მხარს რომ არ უჭერდეს ვაშინგტონის ადმინისტრაცია.

(გაზეთებიდან)

ისრაელური რაკეტა და მისი მატარებელი

სამიანი გულმოდგინეებისათვის

კანადის „გაზეტ"-მა გამოაქვეყნა ცნობა თეთრ სახლში მომხდარი იმ ერთი კაზუსის თაობაზე, როცა მისი პატრონი გახლდათ ჯ. კარტერი: მის გოგონას ემის სკოლაში მისცეს საშინაო დავალება ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ. გოგონამ დახმარებისათვის დედას მიმართა, ხოლო დედამ, თავის მხრივ სთხოვა პრეზიდენტის ერთ-ერთ თანაშემწეს, დაერეკა შრომის სამინისტროში, რათა იქიდან სათანადო მონაცემები მოეცათ. ეს მოხდა პარასკევ დღეს. სამინისტროში საგონებელს მიეცნენ, იფიქრეს, საკითხი თვითონ პრეზიდენტს აინტერესებსო და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს. კვირას, საღამოს, თეთრ სახლს წარუდგინეს სრული ინფორმაცია. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" გაანგარიშებით მთელი ეს შრომა რამდენიმე ასეული ათასი დოლარი დაჯდა. მაგრამ მასწავლებელმა ემის ნამუშევარი მხოლოდ და მხოლოდ „სამიანზე" შეაფასა.

ჟურნალი „ნოვოე ვრემია"